# კათოლიკე ეკლესიის კალენდარი

## წელი უფლისა

# 2012

ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრაცია

# წმიდა წერილის წიგნთა სახელების შემოკლებანი

## ძველი აღთქმა

დაბ–დაბადება
გამ–გამოსვლა
ლევ–ლევიანნი
რიცხ–რიცხვნი
რჯლ–მეორე რჯული
იესო–იესო ნავეს ძე
მსაჯ–მსაჯულნი
რუთ–რუთი
1მეფ–პირველი მეფეთა
2მეფ–მეორე მეფეთა
3მეფ–მესამე მეფეთა
4მეფ–მეოთხე მეფეთა
1ნეშტ–პირველი ნეშტთა
2ნეშტ–მეორე ნეშტთა
1ეზრ–პირველი ეზრა
ნეემ–ნეემია
ესთ–ესთერი
იობ–იობი
ფს–ფსალმუნნი
იგ–იგავნი სოლომონისა
ეკლ–ეკლესიასტე
ქებ–ქებათა–ქება
ეს–ესაია წინასწ.
იერ–იერემია წინასწ.
გოდ–გოდება იერემიასი
ეზ–ეზეკიელ წინასწ.
დან–დანიელ წინასწ.
ოს–ოსია წინასწ.
იოელ–იოელ წინასწ.
ამ–ამოს წინასწ.
აბდ–აბდია წინასწ.
იონ–იონა წინასწ.
მიქ–მიქა წინასწ.
ნაუმ–ნაუმ წინასწ.
აბაკ–აბაკუმ წინასწ.
სოფ–სოფონია წინასწ.
ანგ–ანგია წინასწ.
ზაქ–ზაქარია წინასწ.
მალ–მალაქია წინასწ.
1მაკ–პირველი მაკაბელთა
2მაკ–მეორე მაკაბელთა
3მაკ–მესამე მაკაბელთა
4მაკ–მეოთხე მაკაბელთა
ბარ–ბარუქ წინასწ.
2ეზრ–მეორე ეზრა
3ეზრმესამე ეზრა
ივდ–ივდითი
ეპ. იერ.–ეპისტოლე იერემიასი
სიბრძ–წიგნი სიბრძნისა
ზირ–სიბრძნე ზირაქისა
ტობ–ტობითი

## ახალი აღთქმა

მთ–მათეს
მარ–მარკოზის
ლკ–ლუკას
იო–იოანეს
საქ–საქმე მოციქულთა
რომ–რომაელთა
1კორ–1 კორინთელთა
2კორ–2 კორინთელთა
გალ–გალატელთა
ეფ–ეფესელთა
ფლპ–ფილიპელთა
კოლ–კოლასელთა
1თეს–1 თესალონიკელთა
2თეს–2 თესალონიკელთა
1ტიმ–1 ტიმოთეს
2ტიმ–2 ტიმოთეს
ტიტ–ტიტეს
ფლმ–ფილიმონის
ებრ–ებრაელთა
იაკ–წმ. იაკობისი
1პეტ–წმ. პეტრესი (I)
2პეტ–წმ. პეტრესი (II)
1იო–წმ. იოანესი (I)
2იო–წმ. იოანესი (II)
3იო–წმ. იოანესი (III)
იუდ–წმ. იუდასი
გამოცხ–გამოცხადება იოანესი

# 1 ႨႠႬႥႠႰႨ

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა (დდ) [ს] თ
(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და
ძმა მისი საბა ხახულელნი

2012 ႩႥႨႰႠ

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობის დღე

## მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისაგან იშვა

გალ 4,4

დიდია რწმენის ჭეშმარიტება, რომელსაც დღეს ავღნიშნავთ: მარიამი, ღმერთის დედა! როგორ შეუძლია ღმერთს ყველაფერზე მაღლა მდგომს ჰყავდეს დედა? მისი სიყვარული იმდენად დიდია, რომ ისურვა პატარად ყოფნა და მოვიდა ჩვენს შორის ქალის, დედის მეშვეობით.

კარგია ახალი წლის დაწყება იესოს ცქერით, ჭეშმარიტი ღმერთისა და ჭეშმარიტი ადამიანის, დედა მარიამის მკლავებში.

# 2 იანვარი

შობის ყამი [ს] თ

წმ. ბასილ დიდი (†379) და
წმ. გრიგოლ ნაზიანზელი (†390), ეპ. და მოძ. (მ)

2012 ორშაბათი

Iიო 2,22-28; ფს 97; იო I,19-28

## მოუსწორეთ გზა უფალს იო I,23

**ამ მოწმობით იოანე ნათლისმცემელი იწვევს ყველა მათ, ვისაც ნათლობა და ღმერთის ცხოვრებაში შესვლა სურს. საუბარია ღატაკთა ცხოვრებაზე, ღმერთის სიკეთით გამდიდრებაზე. იოანე იტყვის: „ვისაც ორი მოსასხამი აქვს, მისცეს უქონელს, ვისაც საზრდო აქვს, ისიც ასე მოიქცეს". მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი იესოსთან ცხოვრება და მასთან ერთად მისი გზის გავლა.**

# 3 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

იესოს უწმიდესი სახელი;
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი

2012 სამშაბათი

Iიო 2,29 - 3,6; ფს 97; იო 1,29-34

## ყოველი, ვინც რჩება მასში, არ სცოდავს Iიო 3,6

მრწამს, იესო, რომ შენ არასოდეს შეგიცოდავს, რადგან მთელი გულით გიყვარდა ღმერთი, მამა შენი, და ასრულებდი ყოველთვის მის ნებას. დამეხმარე ვიცხოვრო როგორც შენ, მორჩილმა ძემ, ზეციერი მამის სიყვარულისათვის, ღმერთისა, რომელსაც ძლიერ და ყოველთვის ვუყვარვართ. გმადლობ, რამეთუ ცდუნებისას წარმოთქმული შენი სახელი ძალებს მმატებს.

4 ႨႠႬႥႠႰႨ

შობის ჟამი [ს] თ

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

I იო 3, 7-10; ფს 97; იო I, 35-42

# რას ეძებთ? იო I,38

იოანე ნათლისმცემლის ორი მოწაფე ვერ ხვდებოდა თუ რად მიყვებოდნენ იესოს: დაემორჩილნენ მოძღვარს, რომელმაც იესოში მიუთითა „კრავი ღვთისა“. ეს იყო ხალხის ცოდვებაკიდებული და უდაბნოში სასიკვდილოდ გაძევებული კრავი, ტაძრად ყოველდღიურად შეწირული კრავი და, ასევე, ის „თვინიერი კრავი, რომელიც დასაკლავად მიჰყავთ და ხმას არ იღებს“. ეს ორი მოწაფე ჯერაც არ უწყოდა, თუ რას ეძებდა: ეძებდნენ მას, იესოს, რათა შეეცნოთ იგი!

# 5 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

2012 ხუთშაბათი

Iიო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

## ვისაც არ უყვარს, სიკვდილში რჩება Iიო 3,14

**მართალია, რომ როცა არ შემიძლია მიყვარდეს ღმერთი და ადამიანები, დანაღვლიანებული ვარ, როგორც პარალიზებული, მაშინ ჩემი ცხოვრება ცარიელია. იესო, ასეთ მომენტებში მომკიდე ხელი და მომეცი სინათლე და ძალა, რათა ვიცხოვრო რწმენით და სიყვარულით იქ სადაც ვიმყოფები. გმადლობ, იესო!**

# 6 იანვარი

უფლის გაცხადება (დღ) [ს] თ

## 2012 პარასკევი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

## მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას მთ 2,2

დღეს მეც წარვდგები იესოს წინაშე და თაყვანსა ვცემ მას, გავხსნი ჩემი გულის საგანძურს და მივართმევ მას ყველაფერს, რაც მნიშვნელოვანია ჩემთვის: ჯანმრთელობას, ჩემს სამსახურს, რეპუტაციას, ჩემს მომავალს, სადარდებელსა და მცირე სიხარულებს. იგი თავად აღმავსებს თავისი მშვიდობით!

7 იანვარი

შობის ჟამი II [ს] თ

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. †1275

2012 შაბათი

Iიო 3,22-4, 6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

# ნუ ენდობით ყოველ სულს Iიო 4,1

იესო, ბევრჯერ მსმენია იდეები და აზრები, რომლების არც წყარო ყოფილხარ შენ და არც მიზანი. მივყევი მათ, მაგრამ დავიტანჯე და სხვებიც დავტანჯე. მწარედ ვინანე. მოდი, უფალო, იესო, გაანათლე შენი სიბრძნით ჩემი გონება და გული!

# 8 იანვარი

უფლის ნათლისღება (დღ) «ბ» [ს] თ

2012 კვირა

ეს 55,1-11; ეს 12,2.4ბ-6; 1იო 5,1-9; მარ. 1,7-11

## შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე მარ 1,11

**იესო, იარდანეში შთაფვლით გახდი ჩვენნაირი და ჩვენ გაგვხადე შენნაირები. გმადლობ, რომ დღეს მამა მეც მეუბნება, შენ ხარო, რაც უფრო მეტაც მოგყვები და გემსგავსები შენ.**

# 9 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

2012 ორშაბათი

1მეფ 1,1-8; ფს 115; მარ 1,14-20

## მომყევით მე მარ1,17

**უფალო, იესო, დღეს შენ სწორედ მე მომიხმობ! მსურს გამოგყვე: ყოველ ჩემს ნაბიჯს შენს ნაკვალევზე მოვმართავ, შენი სიყვარულის, შენი სიტყვის შუქზე. მსურს ნამდვილად შენი მოწაფე ვიყო: შენ დამეხმარე!**

# 10 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

2012 სამშაბათი

1მეფ 1,9-20; 1მეფ 2,1.4-8; მარ 1,21-28

## რა გინდა ჩვენგან, იესო ნაზარეველო? მარ 1,24

რა ადვილად მივიჩნევს ხოლმე, იესო, რომ შენ არ უნდა ჩაერიო ჩემს ცხოვრებაში და რომ მე თავისუფალი ვარ ჩემს არჩევნებში. ერთი წმიდა მოძღვარი ამბობდა: „შენი აზრი, შენი შეხედულება გაქვს?... მაშ, არ ყოფილხარ ქრისტიანი!“ ესოდენ ხშირად ჩემი აზრებით მე არ ვარ ქრისტიანი, არ ვარ შენი, იესო. შენ მოხვედი იმ სულისგან ჩემ დასახსნელად, რომელიც მთრგუნავს და მართმევს ჭეშმარიტ თავისუფლებას. გმადლობ ამისთვის!

# 11 ႨႠႬႥႠႰႨ

რიგითი ჟამის I კვირა [I] მჴ

## 2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

Iმეფ 3,1-10.19-20; ფს 39; მარ 1,29-39

# ბრძანე, უფალო, გისმენს შენი მსახური

Iმეფ 3,9

გმადლობ, მამაო: შენ ხარ ის ღმერთი, რომელიც გველაპარაკება. დღეს ჩემი დღის ერთ ნაწილს შენ, მხოლოდ შენ მოგიძღვნი, ავირჩევ მშვიდ ადგილს და დავრჩები სიმშვიდეში შენთან! დარწმუნებული ვარ, რომ მელოდები, რათა მითხრა სიტყვა, რომელიც ძლიერ არგებს ჩემს ცხოვრებას!

# 12 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

# 2012 ხუთშაბათი

I მეფ 4,1-11; ფს 43; მარ 1,40-45

## შეებრალა იგი მარ 1,41

იესოში, რომელიც ჩერდება კეთროვნის წინაშე, ვხედავთ ღმრთის თანალმობას. მხოლოდ ღმერთს შეეძლო კეთროვნის განკურნება, რომელიც ყველას უკვე მკვდრად მიაჩნდა. იესო ისმენს და იღებს მის ლოცვას, პასუხობს და ეხება მას. ამგვარად იგი ვლინდება ღვთის ძედ. გმადლობ აღმდგარო იესო, ეკლესიის საიდუმლოთა, შენი სიყვარულის ნიშნებისათვის. შენ გვეხები მოტევებით, განკურნებითა და შენთან თანაზიარების მონიჭებით.

# 13 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

წმ. ილარიონი, ეპ. და ეკლ. მოძღ., † 367;
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბიანა, აბადესა

2012 პარასკევი

1მეფ 8,4-7.10-22; ფს 88; მარ 2,1-12

## იხილა იესომ მათი რწმენა... მარ 2,5

რა მშვენიერია, იესო შენი თვალები, რომელიც მაკვირდებიან და მიცნობენ მე, იციან, როდის ვწვები და როდის ვდგები! შენ ხედავ თუ რამდენად ნამდვილად ვცხოვრობ შენით, შენთვის და შენთან! და, როცა შენ გსურს, სულიწმიდა ანიჭებს იმათაც, ვინც ნათელსაა მოკლებული, შენში დანახვისა და აღშენების შესაძლებლობას.

# 14 იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

2012 შაბათი

1მეფ 9,1-4.10.17-19; 10,1; ფს 20; მარ 2,13-17

## მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსაწმობად მოვედი მარ 2,17

იესო მოვიდა ცოდვილთათვის, იმათთვის ვისაც სურს მასთან ყოფნა, მაგრამ მისი სიყვარულისა და სიტყვის ერთგულება არ ძალუძთ. მათთან ერთად იესო მზად არის დაჯდეს სუფრაზე. დანარჩენები კი, რომლებიც თავს მართალ ადამიანებად მიიჩნევენ მათი „კეთილი“ საქმეების გამო, როგორც ფარისევლები, ჰგონიათ რომ მათ ხსნა არ სჭირდება. იესო იმათი მხსნელია, რომლებიც თავს ცოდვილებად აღიარებენ.

# 15 იანვარი

რიგითი ჟამის II კვირადღე, «ბ» [II]მწ

# 2012 კვირა

1მეფ3,3-10.19; ფს39; 1კორ6,13-15.17-20; იო1,35-42

## აჰა, ღვთის კრავი! იო 1,36

იესო, მამისადმი შენი სიყვარული, მორჩილება, მსხვერპლშეწირვა გაქცევს შენ ჭეშმარიტ კრავად, რომელიც აღგვხოცავს ჩვენ ყოველ ბრალს!

ჩვენ შენს გვერდით ვიცხოვრებთ, მივიღებთ შენს მიერ დადგენილ ეკლესიის საიდუმლოებებში: ჩვენი ცოდვები ნელ-ნელა წაიშლება და უფრო მივუახლოვდებით მამას: დავტკბებით მისი სიყვარულით.

16 იანვარი

რიგ. ჟ. II კვირა [II] თ

2012 ოთხშაბათი

Iმეფ I5,I6-23; ფს 49; მარ 2,I8-22

# მორჩილება მსხვერპლზე უმჯობესია Iმეფ I5,22

ჩვენ ნებაზე უარის თქმა და მამის ან მოყვასის ნების აღსრულება იესოს სიყვარულისათვის უფლისათვის, სათნო მსხვერპლია გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე საკუთარ თავზე რომ ვიდებთ ხოლმე.

იესო, დამეხმარე, მსურს ვისწავლო შენგან!

17 ႨႠႬႥႠႰႨ

რიგ. ქ. II კვირა [II] თ

წმ. ანტონ დიდი †356 (მ); (4.I) ღირსნი მამანი: ევარგე, ილია დიაკონი და სხვანი (IVს.)

2012 ႱႠႫႸႠႡႠႧႨ

1მეფ 16,1-13; ფს 88; მარ 2,23-28

## კაცი მხოლოდ გარეგანს ხედავს, ხოლო უფალი გულს ხედავს 1მეფ 16,7

**როცა ღმერთი ირჩევს ადამიანს თავისი სასუფევლისთვის, უყურებს მის გულს, სიწრფელეს, თავმდაბლობას, ჭეშმარიტ სიყვარულს... ჩვენ კი ყურადღებას ვაქცევთ გარეგნობას და ხშირად იმედგაცრუებული ვრჩებით. მოდი, სულო წმიდაო, შენ წარგვიძეხი ჩვენს ნაბიჯებში!**

# 18 ႨႠႬႥႠႰႨ

რიგ. ჟ. II კვირა [II] მღ

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

1მეფ 17,32-33.37.40-51; ფს 143; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთიანობისათვის
ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

## წადი, უფალი იყოს შენთან! 1მეფ 17,37

საული აკურთხებს დავითს. ის განიცდის და განაცდევინებს მათ, ვინც მის ირგვლივაა, ჟამთასვლაში ღმერთის დამხსნელ გვერდითყოფნას. მარიამიც ღებულობს ამ კურთხევას და მასთან ერთად ჩვენც შევიცანით ღმერთის ადამიანთან და ადამიანისთვის ყოფნა: იესო! ყოველ კვირადღეს ვღებულობთ ამ კურთხევას: ვინ იცის, მამას რა დიადი საქმეების აღსრულება აქვს ჩაფიქრებული ჩვენთან ერთად!

# 19 იანვარი

რიგ. ჟ. II კვირა [II] მწ

## 2012 ხუთშაბათი

Iმეფ I8,6-9;I9,I-7; ფს 55; მარ 3,7-I2

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეული

უფლის ნათლისღება საქართველოს მართლმ. ეკლესიაში.

## არაწმიდა სულებიც... ყვიროდნენ: „შენა ხარ ძე ღვთისა!“ მარ 3,II

ნებისმიერს შეუძლია სიტყვებით ამტკიცოს, რომ იესო ღვთის ძეა, დემონებსაც კი. ოღონდ, თუ რაგვარი ღმერთის ძეა იგი, ამის გაოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ცხოვრებით. სიყვარულით აღძრული თავმდაბალი და მორჩილი ცხოვრება აუწყებს სამყაროს: ღმერთი მამაა!

# 20 ႨႠႬႥႠႰႨ

რიგ. ჟ. II კვირა [II] მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს.
წმ. სებასტიანე, წამ., †~304)

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

Iმეფ 24,3-21; ფს 56; მარ3,13-19

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეული

## მოუხმო მათ, ვინც თვითონ სურდა მარ 3,13

ხშირად გადაჭარბებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხოლმე ადამიანთა კეთილ ნებას და მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მათზეა დამოკიდებული, აირჩიონ იესო და მივიდნენ მასთან: არადა, ეს ღმერთია ვინც თავისთან იზიდავს ადამიანებს და აღძრავს მათში სურვილსა და ყოფნას. ლოცვაში წარვუდგინოთ იესოს ის ძმები, ვინც საჭიროებენ მას. ვინ იცის, მან თავის გულმოწყალებაში არ შეიბრალოს და არ დაიპყროს ისინი თავისი სიყვარულისთვის!

# 21 იანვარი

რიგ. ქ. II კვირა [II] წ

წმ. აგნესა ქალწ. წამ., † 304 (მ)
(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ.

2012 შაბათი

2მეფ 1,1-4.11-12.19.23-27; ფს 79; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეული

## ამბობდნენ: შეშლილიაო მარ 3,21

**იესოსა და იმათი ცხოვრება, ვისაც უყვართ იგი და მასთან ერთობაში არიან, უცნაურია მათთვის ვისაც არ სწამს. ამგვარად, იესოზეც და მოციქულებზეც, სულიწმიდის მიღების შემდეგ სულთმოფენობის დღეს, ამბობდნენ, რომ „შეშლილნი“ იყვნენ.**

**სულო წმიდაო, მოდი იესოში მორწმუნეებზე, რათა იყვნენ შეერთებულნი და ამგვარად დაეხმარნონ სოფელს შენთან მოსვლაში!**

22 იანვარი

რიგ. ჟამის III კვირადღე, «ბ» [III]მწ

2012 კვირა

იონ. 3,1-5.10; ფს 24; I კორ 7,29-31; მარ 1,14-20

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეული

# მოინანიეთ და იწამეთ სახარება მარ 1,15

იესო მოგვიწოდებს აზროვნების შეცვლისაკენ. დაპირებული მესია მოსულია, ლოდინი აღარაა საჭირო, რადგან ღმერთის სასუფევლის მეუფე იმდენად ახლოსაა, რომ უკვე ჩვენს შორისაა. ის გვიხმობს, ჩვენი ცხოვრება დავამყაროთ მასზე და მის სიტყვაზე. ვილოცოთ, რათა ეკლესიამ გააგრძელოს სახარების გაცხადება და ბოლო მოეღოს მის წიაღში გახლეჩებს, რაც მის მოწმეობას ასუსტებს. სამყაროს სწამს იესოსი, მაშინ როცა ხედავს თუ როგორ უყვართ მის მოწაფეებს ერთმანეთი.

# 23 იანვარი

## 2012 ოთხშაბათი

2მეფ 5,1-7.10; ფს 88; მარ 3,22-30

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეული

# უფალი, ღმერთი მხედრობათა, იყო მასთან 2მეფ 5,10

დავითს ის ის იყო დაეპყრო იერუსალიმის ციხე, იებუსელებს რომ ეპყრათ. ეს საქმე შეუძლებელი ჩანდა, და თავად იებუსელებიც ამბობდნენ, რომ მის დასაცავად „ბრმები და კოჭლებიც“ კმაროდა. მაშ ჩვენც გავაგრძელოთ და ვილოცოთ ქრისტიანთა ერთობისათვის, თუმც კი ეს მხოლოდ ოცნებად გვეჩვენება: არაფერია შეუძლებელი „მხედრობათა ღმრთისათვის“ ჩვენს შორის რომაა.

24 იანვარი

რიგ. ჟ. III კვირა [III] თ

წმ. ფრანცისკ დე სალი, (მ)
ეპ. და ეკლ. მოძღვ., † 1622

2012 სამშაბათი

2მეფ 6,12-15;17-19; ფს 23; მარ 3,31-35

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეული

## მის გარშემო ხალხი ისხდა მარ 3,32

დიდძალი ხალხი, რომელიც ახლა სტაბილურად იკრიბება იესოს ირგვლივ, ეკლესიაა: ყოველი რასის, ეროვნების, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ძმანი და დანი, რომლებიც ცხოვრობენ იესოს სახელით, უსმენენ და მსახურებენ მას. მათთვის პირველადი მნიშვნელობა ნათესაობით კავშირს აღარა აქვს, არამედ ღვთის ნების აღსრულებას. ვთხოვოთ იესოს, რომ მუდამ განბანოს ეკლესიები მისმა სისხლმა, როგორც ოდინდელნი ასევე ახალნი და გააცოცხლოს ისინი, რათა „ერთნი იყვნენ“.

# 25 ႨႠႬႥႠႰႨ

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა (დ) [ს] თ

## 2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

საქმ 22,3-16 (ან: საქმ 9,1-22); ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტ. ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრ.
არალში «შუასერის» ეკლესიის დღესასწაული.

## ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრი დაედება მარ 16,16

დღეს მოვიხსენიებთ წმინდა პავლეს მოქცევას. იგი, ისევე როგორც იესო, შეგვახსენებს, რომ ჩვენი სიტყვები და საქმეები როდი მოგვიპოვებს საუკუნო სიცოცხლეს. მივმართოთ ჩვენი გონება, გული და ნება ღვთის ნებისაკენ და მისი პიროვნებისაკენ, ესაა საიმედო გზა საუკუნო სიცოცხლეში შესასვლელად და ხსნის აღმოსაჩენად.

26 ႨႠႬႥႠႰႨ

რიგ. ქ. III კვირა [III] თ

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ)

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

2მეფ 7,18-19.24-29; ფს 131; მარ 4,21-25

# თუ ვინმეს ყური აქვს სასმენად, ისმინოს! მარ 4,23

იესო გვიწვევს, რომ „გულის ყურით“ ვისმინოთ მისი სიტყვა, რადგან ამ სიტყვას ძალუძს ჩვენი წინსვლა მის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს არ უნდა, რომ ღვთის სიტყვა გაჟღერდეს და ცდილობენ გააჩუმონ მაუწყებელნი, ის ნადვილად იმსახურებს „სახურავებზე“ გაჟღერებას: მისი მეშვეობით ყველას მიეცემა შესაძლებლობა ღვთის სიყვარულის შეცნობისა.

# 27 ႨႠႬႥႠႰႨ

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი (დდ) ს, თ
წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული († 1540)

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

დაბ 12,1-7; ფს 95; 1 კორ 1,26-31; მარ 16,15-20
წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

## ყველაზე მცირე თესლია მიწაზე არ- სებულ თესლთა შორის მარ 4,31

იესო ლაპარაკობს მდოგვის მარცვალზე, რომელიც მიუხედავად იმისა რომ პატარაა, იქცევა დიდ მცენარედ. იესოსთვის მნიშვნელოვანია სიმცირე და უბრალოება, რადგან მათში ვლინდება ღვთის ძალა, როგორც იტყვის წმიდა პავლე. ამგვარად მოხდა წმიდა ნინოს შემთხვევაშიც, მან, ტყვექალმა ღვთის მადლით შეძლო მთელი ერი დაეპყრო უფლისათვის.

იესოსთვის საკმარისია ორი ან სამი შეკრებილი მისი სახელით, როგორც ოჯახი ან საძმო, რათა მისი სასუფეველი განივრცოს და ნაყოფი გამოიღოს.

28 იანვარი

რიგ. ჟ. III კვირა [III] თ

წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., †1274(მ);
(15.I) წმმ. სალომე უჯარმელი და პეროჟავრ სივნიელი

2012 შაბათი

2მეფ 12,1-7.10-17; ფს 50; მარ 4,35-41

## მათ დიდი შიშით შეეშინდათ მარ 4,41

იესოსთან ჩემი პირველი შეხვედრის დროს, მან ძლიერ შეაბიჯა ჩემს ცხოვრებაში. სიხარული და გაოცება ვიგრძენი: ვცანი, რომ მხოლოდ მას, ჩვენთან მყოფ ღმერთს, შეეძლო ჩემი დახსნა სასოწარკვეთილებისაგან და სიყვარულის მონიჭება ჩემს გულში. გმადლობ, უფალო იესო!

# 29 იანვარი

რიგ. ჟ. IV კვირადღე, «ბ» [IV] მწ

## 2012 კვირა

მსჯ 18,15-20; ფს 94; 1კორ 7,32-35; მარ 1,21-28

## იესო შაბათ დღეს შევიდა სინაგოგა-ში და ასწავლიდა მარ 1,21

იესო შედის თავისი ხალხის ცხოვრებასა და ეპოქა-ში, რათა მიუტანოს ნათელი, მშვიდობა და ხსნა. იოსებ ფრეინადემეტცმაც იგივე გააკეთა, შევიდა ჩინელების ცხოვრებასა და ეპოქაში, რათა მიეტანა ხსნის სიტყვა. მეც და ყოველი ჩვენგანიც მოხმობილნი ვართ ჩვენი მოყვასის ცხოვრებაში შესასვლელად, რათა მივაწო-დოთ იესო, ხსნა!

# 30 იანვარი

რიგ. ჟ. IV კვირა [IV] თ

2012 ოთხშაბათი

2მეფ 15,13-14.30; 16,5-13; ფს 3; მარ 5,1-20

## მიეჭრა მას კაცი არაწმიდა სულით შეპყრობილი მარ 5,2

იესოს წინაშე არაწმიდა სულებს ნიღბები ეხდებათ, ძრწუნდებიან და გარბიან. გმადლობ, იესო, რომ მამისაგან მოვლენილი მოხვედი ჩვენს შორის, რათა გაგვათავისუფლო ყოველგვარი არაწმიდა სულისაგან და მოგვმადლო შენი სული წმიდა! სიხარულით შევეცდებით, ვიყოთ შენთან და დავემორჩილოთ შენს სიტყვას!

# 31 იანვარი

რიგ. ჟ. IV კვირა [IV] თ

წმ. იოანე ბოსკო † 1888, მღვ.
სალეზიელთა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ)

2012 სამშაბათი

2მეფ 18,9-10.14.24-25.30-19,4; ფს 85; მარ 5,21-43

## არ მომკვდარა ბავშვი, სძინავს მხოლოდ მარ 5,39

იესოს ამ სიტყვების გამო მრავალმა დასცინა. მაგრამ ის ერთადერთია, ვინც ნათლად ხედავს სინამდვილეს: სიკვდილი ძილია, რომლისგანაც იგი ერთ დღეს გაგვაღვიძებს.